ოქმი:**ო63. 63230742**
თარიღი:**15/03/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ.სამტრედია 7 მარტი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 7 მარტს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე,აკაკი მინაშვილი,ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი,მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, სადაც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლთან შემოვიდა სოფელ ჩხენიშში მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება, სადაც მოგვმართავენ თხოვნით, რომ ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობას, სადაც განათავსებულია სამედიცინო ამბულატორია, მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის რევაზ სალაყაიას სახელი.

რევაზ სალაყაია დაიბადა 1928 წლის 28 ოქტომბერს სოფელ ჩხენიშში. სოფელ ჩხენიშის დაწყებითი სკოლის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის 177-ე საჯარო სკოლაში, რის დამთავრების შემდეგაც ჩაირიცხა სტომატოლოგიურ ტექნიკუმში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1950 წელს. 1950-1957 წლებში მუშაობდა ექიმად ბელორუსიის რესპუბლიკაში, ქალაქ მინსკში. 1957 წლიდან მუშაობდა სამტრედიის რაიონული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმად. 1963 წლიდან მუშაობდა თბილისის ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, უფროს სამეცნიერო თანამშრომლად და შემდეგ ანტიბაქტერიული თერაპიის და იმუნოლოგიის განყოფილების უფროსად.

რევაზ სალაყაია იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უროლოგი.

ის გარდაიცვალა 2014 წლის 27 ნოემბერს. დაკრძალულია მის მშობლიური სოფელში, ჩხენიშში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა- ნაგებობას, სადაც განათავსებულია სამედიცინო ამბულატორია, მიენიჭოს რევაზ სალაყაიას სახელი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის":

მე-2 მუხლის ,,ა’’-ქვეპუნქტის მიხედვით, გეოგრაფიული ობიექტი არის ასევე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე შენობა-ნაგებობა.

მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა’’-ქვეპუნქტის მიხედვით, სახელი ენიჭება სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულ ობიექტს.

მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ირაკლი მელაშვილი - წერილობით მომართვას თან ახლავს, ჩხენიშის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება 250-მდე ხელმოწერით. სხდომას ესწრება ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი - ვაჟა სტურუა, რომელიც მოგვახსენებს ამ საკითხის შესახებ.

ვაჟა სტურუა - გარდა იმისა, რომ რევაზ სალაყაია იყო პროფესიონალი თავისი საქმის, ის ეწეოდა ქველმოქმედებას მშობლიურ სოფელში და არა მარტო. როდესაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სოფელ ჩხენიშში აშენებულიყო ამბულატორია, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით, ბუნებრივია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მოითხოვა ამბულატორიას მინიჭებოდა რევაზ სალაყაიას სახელი, რათა მისი ამაგი დაფასდეს. იმდენად დიდია სურვილი მოსახლეობისა, რომ იქნებ დავუშვათ გამონაკლისი.

ბადრი შენგელია - მეც მინდა ავღნიშნო, რევაზ სალაყაიას შესახებ ორიოდე სიტყვა. უშუალოდ ვიცნობდი მე მას.ის იყო ცნობილი ექიმი - უროლოგი და საუკეთესო პიროვნება. მივესალმები ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელებას. ვფიქრობ, შეგვიძლია გამონაკლისი დავუშვათ.

გოჩა არველაძე - მივესალმები და მხარს ვუჭერ,თუ ასეთი გამოჩენილი ადამიანის სახელი მიენიჭება შენობა ნაგებობას. დიდია ინტერესი მოსახლეობის მხრიდან, ამიტომ ჩვენც მხარს ვუჭერთ ზემოაღნიშნულს.

ნუგზარ ჯამბურია - სავსებით ვეთანხმები თქვენს გადაწყვეტილებას. გვყავდა სახელოვანი წინაპრები და მათი მომავალი თაობებისთვის გაცნობა არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგრამ კანონთან წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს. დავიცვათ პროცედურები და მოვამზადოთ დოკუმენტები მაღალ დონეზე.

ტარიელ დვალიშვილი - მხარს ვუჭერ ზემოაღნიშნულ საკითხს. უბრალოდ დოკუმენტალურად გავამყაროთ საკითხი.

ირაკლის მელაშვილი - მივესალმები ზემოაღნიშნულ ინიციატივას. საკითხს მიეცეს მსვლელობა. შემდგომი ეტაპი იქნება სოფელ ჩხენიშში გასვლითი კომისიის სხდომა მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხს მიეცეს მსვლელობა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი